სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

25 სექტემბერი 2024

MRDI-RD N 2-15/14310

მოქალაქე ხატია დავლიანიძეს
ელ. ფოსტა: foi+request-3181-8db734d9@askgov.ge
ტელ: +995 555 758875

ქალბატონო ხატია,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) შემოვიდა თქვენი 2024 წლის 18 სექტემბრის განცხადებები (დეპარტამენტში რეგისტრაციის №27100/2 და №27073/2) (შემდგომში - განცხადებები), რომლითაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციის მიწოდებას.

დეპარტამენტმა კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი განცხადება და გაცნობებთ, რომ თქვენს წერილში მითითებული ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ რომელ პერიოდში გაინტერესებთ E-60 მაგისტრალის ჩუმათელეთი-ხევის (F1), ხევი-უბისას (F2), უბისა-შორაპანის (F2) და შორაპანი-არგვეთას (F4) მონაკვეთების მშენებლობის პროცესში დასაქმებულ პირთა ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია შრომითი პირობების შესახებ არის კონტრაქტორსა და დასაქმებულ პირს შორის არსებული კერძო სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს დეპარტამენტში საჯარო ინფორმაციის სახით დაცულ/დამუშავებულ ინფორმაციას.

პატივისცემით,

ფიქრია კვერნაძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული სამსახური